ვამტკიცებ
შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკას“
დირექტორი _____ /თამარ მაისურაძე/
ბრძანება №84 23.08.2022 წ.ა.

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“

მოწვეული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ

დებულება

მუხლი 1. რეგულირების საგანი და რეგულირების სფერო

1.წინამდებარე მოწვეული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი განსაზღვრავს შპს ,,ქართულ-ინგლისურ სკოლა ბრიტანიკაში'' (შემდგომში - სკოლა) მოწვეული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის პირობებს.

მუხლი 2. მოწვეული მასწავლებლის მიმართ დადგენილი მოთხოვნები

1.მოწვეული მასწავლებელი არის პირი, რომელიც მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართვის გარეშე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ასწავლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ან გაუთვალისწინებელ საგანს და რომელსაც აქვს შესაბამისი საგნის სწავლებისთვის საჭირო კომპეტენცია ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება.

2.მასწავლებელი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არ აქვს ნასამართლობა.

3.სკოლას უფლება აქვს ნარკოლოგიური შემოწმების ცნობის წარმოდგენა მოსთხოვოს მოწვეული მასწავლებლობის მსურველ კანდიდატს.

4.მოწვეულ მასწავლებლობის კანდიდატს უნდა გააჩნდეს შესაბამისი საგნის სწავლებისთვის საჭირო კომპეტენცია ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება;

5.მოწვეულ მასწავლებლობის კანდიდატს უნდა გააჩნდეს, სულ მცირე, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და უნდა აკმაყოფილებდეს მოწვეული მასწავლებლისათვის დადგენილ მოთხოვნებს;

6.სკოლის დირექტორი მოწვეულ მასწავლებლებს ასაქმებს კონკურსის გარეშე საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად''

მუხლი 3. შრომითი ხელშეკრულების დადება

1.შრომითი ურთიერთობა სკოლასა და მოწვეულ მასწავლებელს შორის წარმოიშობა მოწვეული მასწავლებლის მიერ სამუშაოს შესრულების ფაქტობრივად დაწყების მომენტიდან, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ იქნება განსაზღვრული.

2.შრომითი ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია. სკოლის დირექტორი ვალდებულია მასწავლებელს შრომითი ხელშეკრულების დადებამდე გააცნოს სკოლის შინაგანაწესი, რასაც დასაქმებული ადასტურებს ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, ხოლო შემდგომში-მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება და დამატება.

მუხლი 4. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა

1.თუ სკოლასა და მოწვეულ მასწავლებელს შორის დადებული კონკრეტული შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული, სკოლასა და მოწვეულ მასწავლებელს შორის შრომითი ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ხანგრძლივი შრომისუუნარობისას, თუ მოწვეული მასწავლებლის შრომისუუნარობის ვადა აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს, ან 2 თვის განმავლობაში აღემატება 60 კალენდარულ დღეს, ამასთან, თუ მოწვეულ მასწავლებელს გამოყენებული აქვს საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული შვებულება.

2 მოწვეული მასწავლებლის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მოწვეული მასწავლებელი ვალდებულია სკოლას აღნიშნულის შესახებ აცნობოს წერილობით 30 კალენდარული დღით ადრე. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს შეუძლებელია გადაუდებელი სამედიცინო ან ოჯახური პირობების გამო.